



ფინანსთა სამინისტრო

23 დეკემბერი 2024



N 416

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 4 დეკემბრის N461 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1.

„საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 4 დეკემბრის N461 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასებისა და სამინისტროს პოზიციების შეჯერების მიზნით, შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად და აღნიშნული პროცესის კოორდინაციის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი კაკაურიძე	საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
ეკატერინე გუნცაძე	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;
ნათია გულუა	საბიუჯეტო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
შოთა გუნია	ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ვახტანგ ჩალაფიქრიშვილი	მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
სოფიო ბიწაძე	სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მაია ჩალაძე	სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე, საინვესტიციო პროექტების სამმართველოს ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
დიმიტრი ქებაძე	საბიუჯეტო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ნატო მოკვერაშვილი	საბიუჯეტო დეპარტამენტის საბიუჯეტო პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
თინათინ გუგავა	საბიუჯეტო დეპარტამენტის საბიუჯეტო პოლიტიკის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
გელა ბუკია	მინისტრის პირველი მოადგილის მრჩეველი, სამუშაო ჯგუფის წევრი.“;

ბ) ბრძანებით დამტკიცებული „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასებისა და სამინისტროს პოზიციების შეჯერების მიზნით, შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად და აღნიშნული პროცესის კოორდინაციის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის დებულების“:

ბ.ა) მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროექტის ეფექტურობის შეფასების ანგარიშის წარმოსადგენად მხარჯავ დაწესებულებას განუსაზღვროს დამატებითი ვალდებულება, არაუგვიანეს პროექტის დასრულებიდან შემდგომი 5 საბიუჯეტო წლის გასვლიდან 2 თვის ვადაში;“;

ბ.ბ) მე-4 მუხლის მე-19 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. „საჯარო და კერძო თანამშრომლის შესახებ“ საქართველოს კანონით და შესაბამისი წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების კოორდინირებას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტის მეშვეობით.“.

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლაშა ხუციშვილი



მინისტრი

**საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასებისა და სამინისტროს პოზიციების
შეჯერების მიზნით, შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად და აღნიშნული
პროცესის კოორდინაციის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილი
სამუშაო ჯგუფის დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების (შემდგომში - პროექტი) შეფასების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სამუშაო ჯგუფი (შემდეგში - სამუშაო ჯგუფი) შექმნილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

2. თავის საქმიანობაში სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N65 დადგენილებით (შემდგომში - მეთოდოლოგია), „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით (შემდგომში - წესი), „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის N168 დადგენილებით, ამ დებულებით, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

3. სამუშაო ჯგუფის სტრუქტურა, ამოცანები, უფლებამოსილება, საორგანიზაციო საქმიანობის მხარდაჭერა და პროექტების შეფასების ზოგადი მიდგომები განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. სამუშაო ჯგუფის ამოცანები

სამუშაო ჯგუფის ძირითადი ამოცანებია:

ა) მეთოდოლოგიის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოდგენილი პროექტების განხილვა, შეფასება, პროექტის მონიტორინგის ეტაპზე შესრულების და შედეგების შეფასების ანალიზი;

ბ) პროექტების კონცეფციის ბარათების, ხარჯთ-სარგებლიანობის შეფასებების და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, არსებულ ფისკალურ რესურსთან მიმართებაში პროექტების დასაფინანსებლად საჭირო სახსრების მოცულობების გაანალიზება და პროექტების შესახებ დასკვნის მომზადება და წარდგენა ეკონომიკური საბჭოსთვის;

გ) პროექტების წინასწარი შეფასების ეტაპზე პროექტების გაანალიზების პროცესში „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეების, მათი ღირებულებებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის და საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმებისა და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ნოემბრის №433 ბრძანებით დამტკიცებული პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეების, მათი ღირებულებებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის გათვალისწინება;

დ) პროექტების წინასწარი შეფასების ეტაპზე მუშაობის დასრულების შემდგომ, შეხვედრის შემაჯამებელი ოქმის მომზადება;

ე) პროექტების საბოლოო შერჩევის მიზნით, განხილული პროექტების შეფასება „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეების, მათი ღირებულებებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის და საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმებისა და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ნოემბრის №433 ბრძანებით დამტკიცებული პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმებისა და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემით;

ვ) „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულების კოორდინირება;

ზ) პროექტების შესრულების და შედეგების შეფასების თაობაზე საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და ეკონომიკური საბჭოსთვის წარდგენა;

თ) საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული სისტემის (ePIMs) დანერგვის ხელშეწყობა.

მუხლი 3. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილება

დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია:

ა) მეთოდოლოგიის შესაბამისად განიხილოს, დაამუშაოს და საჭიროებისამებრ დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვოს პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულებისგან/მუნიციპალიტეტისგან (შემდგომში - ინიციატორი);

ბ) პროექტით წარმოდგენილი ალტერნატივების გარდა, მოითხოვოს სხვა დამატებითი ალტერნატივის განხილვა;

გ) პროექტის ინიციატორთან ძირითად დაშვებებზე და პრინციპებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მოამზადოს ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის ალტერნატიული ვერსია, სამუშაო ჯგუფის მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული დაშვებებით;

დ) განსაზღვროს ტექნიკური-ეკონომიკური ანალიზის მეთოდები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოიწვიოს პროექტის ინიციატორი ან პროექტთან დაკავშირებული სხვა მხარჯავი დაწესებულების წარმომადგენელი ან/და დარგის ექსპერტი;

ვ) პროექტების წინასწარი შეფასების ეტაპზე მუშაობის დასრულების შემდგომ, მოამზადოს შეხვედრის შემაჯამებელი ოქმი სამუშაო ჯგუფის მიერ განხილული პროექტების შესახებ, რომელიც ამ პროექტებთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებებისა და ფინანსურ-ეკონომიკური გაანგარიშებების გარდა, მოიცავს პროექტების საბოლოო შერჩევის მიზნით შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად მინიჭებულ ქულებს, ასევე პროექტების წინასწარი შეფასების სამუშაო ჯგუფის პოზიციას;

ვ.ა) ვეთანხმები წარმოდგენილ პროექტს:

ვ.ა.ა) **საშუალო კატეგორიის პროექტის** განხორციელების/არგანხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამუშაო ჯგუფი. ამასთან, სპეციფიკური შინაარსის მქონე საშუალო კატეგორიის პროექტი შესაძლებელია აისახოს მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნაში და წარედგინოს ეკონომიკურ საბჭოს;

ვ.ა.ბ) **მსხვილი კატეგორიის პროექტი** გადადის პროექტების მართვის შემდეგ ეტაპზე, აისახება მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნაში და წარედგინება ეკონომიკურ საბჭოს;

ვ.ბ) არ ვეთანხმები წარმოდგენილ პროექტს:

ვ.ბ.ა) მხარჯავი დაწესებულების თანხმობის შემთხვევაში, პროექტის განხილვა წყდება;

ვ.ბ.ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მხარჯავ დაწესებულებას შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, პროექტი გადადის პროექტების მართვის შემდეგ ეტაპზე, აისახება მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნაში და წარედგინება ეკონომიკურ საბჭოს;

ზ) საბიუჯეტო დეპარტამენტისაგან საჭიროებისამებრ მიიღოს ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესით განსაზღვრულ ვადებში, მხარჯავი დაწესებულებების/მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებულ საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტებში, საბიუჯეტო განაცხადებსა და ბიუჯეტების პროექტებში ასახული კაპიტალური პროექტების შესახებ, პროექტების შერჩევის ეტაპზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

თ) მეთოდოლოგიის შესაბამისად მონიტორინგის ეტაპზე განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციები მოამზადოს მიმდინარე პროექტების შესრულების შესახებ;

ი) მეთოდოლოგიის შესაბამისად, განიხილოს დასრულებული პროექტების შესრულების ანგარიში საინვესტიციო პროექტის დასრულებიდან არა უგვიანეს შემდგომი 2 საბიუჯეტო წლის გასვლიდან 2 თვის ვადაში და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს რეკომენდაციები პროექტების მართვის პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით;

კ) პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროექტის ეფექტურობის შესაფასებლად შესაძლებელია, განსაზღვროს მხარჯავი დაწესებულების ვალდებულება, პროექტის ეფექტურობის შეფასების ანგარიშის წარმოსადგენად, მაგრამ არაუგვიანეს პროექტის დასრულებიდან შემდგომი 5 საბიუჯეტო წლის გასვლიდან 2 თვის ვადაში;

ლ) საჭიროებისამებრ მოამზადოს ანგარიში/რეკომენდაციები და წარუდგინოს ეკონომიკურ საბჭოს იმ შემთხვევაში თუ სამუშაო ჯგუფი ამ მუხლის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ეტაპებზე გამოავლენს ფაქტორებს, რომლებსაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესრულებაზე;

მ) მოამზადოს წინადადებები მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით;

ნ) იმ პროექტებთან მიმართებაში, რომელიც წარმოდგენილია „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განახორციელოს სათანადო ღონისძიებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში;

ო) საჭიროებისამებრ, მოამზადოს წინადადებები „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეების, მათი ღირებულებებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის და საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმებისა და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ნოემბრის №433 ბრძანებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის შესახებ;

პ) პროექტის შესახებ შესაბამისი სტატუსი ასახოს საინვესტიციო პროექტების მართვის რეესტრში, საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული სისტემის (ePIMs) საშუალებით.

მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის საორგანიზაციო საქმიანობის მხარდაჭერა

1. სამუშაო ჯგუფის სხდომებს წარმართავს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი.
2. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს ხელმძღვანელის მოადგილე.
3. სამუშაო ჯგუფის სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ.

4. სამუშაო ჯგუფს და მის საქმიანობას ტექნიკურ დახმარებას უწევს სამუშაო ჯგუფის სამდივნო. სამდივნოს ფუნქციას ითავსებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტი (შემდგომში - სამდივნო).

5. სამუშაო ჯგუფის სხდომის მოწვევის თხოვნით სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს მიმართავს სამდივნო, რომელიც სხდომის დღის წესრიგის პროექტს განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის წევრების მოთხოვნით/შეთანხმებით.

6. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ბრძანების პირველ მუხლში განსაზღვრულ პირთა ნახევარზე მეტი.

7. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება მიიღება სამუშაო ჯგუფის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ხმა.

8. სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი.

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შემოსულ პროექტს, სამდივნო, ატარებს რეესტრში, რომელიც უნდა მოიცავდეს არანაკლებ ამ დებულების დანართით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

10. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად პროექტის კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი მეთოდოლოგიის შესაბამისად სრულად არ არის წარმოდგენილი, სამდივნო უფლებამოსილია პროექტი დააბრუნოს ინიციატორთან შესაბამისი შენიშვნებით/რეკომენდაციებით.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის გათვალისწინებით, პროექტის მიღებიდან 2 კვირის ვადაში სამუშაო ჯგუფის სამდივნო და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი და სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი ამოწმებს შემოსული პროექტის კონცეფციის ბარათის, ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის და ძირითადი დაშვებების შესაბამისობას მეთოდოლოგიის მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვენ დამატებით ინფორმაციას.

12. პროექტის განახლებული ვარიანტის მიღების შემდგომ, სამდივნო, სამუშაო ჯგუფის წევრებს უგზავნის ინფორმაციას კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად და უფლებამოსილია მისი ინიციატივით ან სამუშაო ჯგუფის წევრის მოთხოვნით, მოითხოვოს სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

13. სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ ინფორმაციის მიღებიდან და/ან შეხვედრიდან (ასეთის ჩატარების შემთხვევაში) 2 თვის ვადაში სამუშაო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს შემაჯამებელი სხდომის ჩატარება კომპეტენციის ფარგლებში ამ დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით.

14. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებისამებრ მონაწილეობის მიღება შეიძლება ეთხოვოდ საბიუჯეტო დეპარტამენტის

შესაბამისი სამმართველოს თანამშრომლებს, საკურატორო მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

15. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებისამებრ მონაწილეობის მიღება შეიძლება ეთხოვოდ სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების/საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

16. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია განსაზღვროს პროექტების განხილვის, მომზადების და შეფასების ვადები და სამუშაო ჯგუფის/ქვეჯგუფის შემადგენლობა.

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი განსაზღვრავს ქვეჯგუფის ხელმძღვანელს - კონკრეტულ პროექტზე პასუხისმგებელ პირს.

18. სამუშაო ქვეჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა შესაძლებელია მიიღონ, როგორც სამუშაო ჯგუფის მუდმივმა წევრებმა, ისე მოწვეულმა პირებმა.

19. „საჯარო და კერძო თანამშრომლის შესახებ“ საქართველოს კანონით და შესაბამისი წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების კოორდინირებას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, ამ დებულებით განსაზღვრული წესით.

20. სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლა, ხდება ელექტრონული ფოსტის და ელექტრონული მატარებლების მეშვეობით, ასევე პროექტების მართვის ელექტრონული სისტემის (ePIMs) საშუალებით.

მუხლი 5. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასების ზოგადი მიდგომები

1. სამუშაო ჯგუფი განიხილავს საშუალო (≥ 5 მლნ ლარი - < 20 მლნ ლარი) და მსხვილი (≥ 20 მლნ ლარი) პროექტის კონცეფციის ბარათებს, ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზებს (ფინანსური და ეკონომიკური), ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოითხოვოს მცირე კატეგორიის (< 5 მლნ ლარი) პროექტზე ინფორმაცია, მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2. **სამუშაო ჯგუფი ახორციელებს საშუალო და მსხვილი კატეგორიის პროექტის** წინასწარ შეფასებას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე.

3. **საშუალო კატეგორიის პროექტის** განხორციელების/არგანხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამუშაო ჯგუფი. ამასთან, სპეციფიკური შინაარსის მქონე საშუალო კატეგორიის პროექტი შესაძლებელია განხილულ იქნეს მსხვილი კატეგორიის პროექტებისთვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

4. **მსხვილი კატეგორიის პროექტის** წინასწარი შეფასება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, ხოლო პროექტის განხორციელების/არგანხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეკონომიკური საბჭო.

5. სამუშაო ჯგუფი ამზადებს დასკვნას ეკონომიკური საბჭოსთვის წარსადგენი მსხვილი კატეგორიის და ზოგიერთ შემთხვევაში სპეციფიკური შინაარსის სამუშაო კატეგორიის პროექტების შესახებ, მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნაში სამუშაო ჯგუფი ასახავს ამავე პუნქტით გათვალისწინებული პროექტების საბოლოო შერჩევის მიზნით შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად მინიჭებულ ქულებს და სამუშაო ჯგუფის პოზიციას.

7. „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეების, მათი ღირებულებებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის და საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმებისა და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ნოემბრის №433 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად პროექტის მაქსიმალური ქულა არის 33.

8. წინასწარი შეფასების ეტაპზე გასათვალისწინებელია, რომ სოციალური შინაარსის პროექტი, სხვა პროექტებისგან განსხვავებით, უმეტეს შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ შეფასდეს დაბალი ქულებით, ვინაიდან სპეციფიკის გათვალისწინებით არ არის მომგებიანი ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშების მიხედვით, თუმცა მნიშვნელოვანია მისი განხორციელება საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. დაბალი შეფასების მიუხედავად, სოციალური შინაარსის პროექტების განხორციელების შესახებ შესაძლებელია მიღებულ იქნეს დადებითი გადაწყვეტილება, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროექტები ქმნიან საზოგადოებრივ სიკეთეს და მათი განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას.

9. სამუშაო ჯგუფის მიერ პროექტზე უარყოფითი პოზიციის შემთხვევაში, პროექტის განხილვა წყდება. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ პროექტის წარმომდგენი მხარჯავი დაწესებულება არ ეთანხმება აღნიშნულ პოზიციას, პროექტი გადადის პროექტების მართვის შემდეგ ეტაპზე, აისახება მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნაში. შესაბამისად, მისი განხორციელების/არგანხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეკონომიკური საბჭო.

10. წინასწარი შეფასების ეტაპზე სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშების შესაბამისობას იმ ძირითად ეკონომიკურ ერთეულებთან (დისკონტირების განაკვეთი, ინფლაცია, ნომინალური ხელფასის ზრდა, სიცოცხლის სტატისტიკური ღირებულება, ნახშირბადის (CO₂) ჩრდილოვანი ფასი გამოხატული ტონის ექვივალენტი ლარში, დროის სტატისტიკური ღირებულება, დამატებით შექმნილი ერთი სამუშაო ადგილის ღირებულება, დამატებით ერთი ტურისტისგან მიღებული სარგებლის ღირებულება) და მათ ღირებულებებთან, რომელიც დამტკიცებულია „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეების, მათი ღირებულებებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის და საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმებისა და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ნოემბრის №433 ბრძანებით და საერთოა ყველა პროექტისთვის.

მუხლი 5. დასკვნითი დებულება

სამუშაო ჯგუფის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების რეესტრი¹

N	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის დასახელება	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის სექტორი ²	ინიციატორი მხარჯავი დაწესებულება/მუნიციპალიტეტი	პროექტის მთლიანი ღირებულება ³	მ.შ. კაპიტალური ხარჯები (CAPEX)	მ.შ. საოპერაციო ხარჯები (OPEX)	ინიციატორის გათვლების მიხედვით				სამუშაო ჯგუფის გაანგარიშებით ⁴				სტატუსი ⁵	შენიშვნა
							NPV	IRR	ENPV	EIRR	NPV	IRR	ENPV	EIRR		
1																
2																

¹ წარმოდგენილი დანართის ფორმა სარეკომენდაციო ხასიათისაა და საინვესტიციო პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დამატოს ინფორმაცია.

² „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის №65 დადგენილებით დამტკიცებული საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული სექტორის მიხედვით.

³ პროექტის ღირებულება მიეთითება შესაბამის ვალუტაში, თუ გათვლები არ არის მომზადებული ეროვნულ ვალუტაში. ამ შემთხვევაში, პროექტის ღირებულება აუცილებელია მიეთითოს ეროვნულ ვალუტაშიც.

⁴ ივსება იმ შემთხვევაში თუ სამუშაო ჯგუფის მიერ გაანგარიშებული ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლები განსხვავდება ინიციატორის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლებისგან. ასეთ შემთხვევაში შენიშვნის სვეტში მიეთითება შესაბამისი განმარტება.

⁵ მიეთითება პროექტის სტატუსი. მაგ.: განხილვის პროცესშია სამუშაო ჯგუფის მიერ, ინიციატორის მიერ ხდება პროექტის გადამუშავება, გაგზავნილია ეკონომიკურ საბჭოსთან და სხვა.